



დოკუმენტის დამტკიცების თარიღი და ბრძანების
ნომერი: 28.02.2019 წელი, ბრძანება №31;
ცვლილების შეტანის თარიღი და ბრძანების
ნომერი: 13.05.2019 წელი, ბრძანება №59;

პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე
რეაგირების პროცედურები და მექანიზმები



დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	3
მუხლი 2. აკადემიური ეთიკის დარღვევის სახეობები	3
მუხლი 3. პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების პროცედურები და მექანიზმები	4
მუხლი 4. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტებზე რეაგირების პროცედურები/მექანიზმები	6
მუხლი 5. დისციპლინური სანქციების სახეები	7
დანართი #1 - ინფორმირება აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევაზე	9





მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ობიექტურ განხორციელებას, აკადემიურ თავისუფლებას და მიუკერძოებლობას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრებას. ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობისა და შინაგანი პასუხისმგებლობის დონის, საუნივერსიტეტო საზოგადოებაში უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას, მაღალი აკადემიური სტანდარტების დანერგვისათვის ქცევის ნორმების რეგულირებასა და პასუხისმგებლობის ფორმების დამკვიდრებას.
2. დოკუმენტის მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიურ, მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალზე, ასევე უნივერსიტეტის სტუდენტებზე და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში და გამოცემებში ჩართულ პირებზე;

მუხლი 2. აკადემიური ეთიკის დარღვევის სახეობები

1. აკადემიური ეთიკის დარღვევის სახეობებია:

- ა) პლაგიატი - გულისხმობს სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის (ან გამოუქვეყნებელი ნაშრომის ან მისი ნაწილის, რომელზეც მტკიცდება ავტორობა, მათ შორის გამოუქვეყნებელი ან გამოუქვეყნებელი /მათ შორის დაცვის მიზნით მომზადებული, წარმოდგენილი ნაშრომი/ თეორიების, ცნებების, მონაცემთა წყარო მასალების, სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიების ან დასკვნების, გრაფიკების, გამოსახულებების და სხვა), როგორც საკუთარს წარმოდგენას და გამოყენებას, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე.
- ბ) კომპილაცია - გულისხმობს საავტორო უფლებით დაცული, სხვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგების, ნაშრომების გამოყენებას, დაჯგუფებას, წყაროების საკუთარი დამუშავებისა და ინტერპრეტაციის გარეშე ნაშრომის შექმნით.
- გ) ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია, რაც გულისხმობს ნაშრომში მონაცემების ცვლილებას, მონაცემებით მანიპულირებას, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენებას, წყაროების, შედეგების ან მეთოდოლოგიის, გრაფიკებისა და გამოსახულებების ჩათვლით, შესაბამისი აღნიშვნის გარეშე - რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას.
- დ) თვითპლაგიატი - საკუთარი ნაშრომის ხელმეორედ გამოყენება ორიგინალი წყაროს მიუთითებლად.



2. სტუდენტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის სახეობებია:

- ა) გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან გამოყენება სხვა სახის დამხმარე მასალის, რომელიც აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული;
- ბ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება;
- გ) საგამოცდო საკითხების კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება ან/და გამოყენება ან/და გავრცელება;
- დ) სხვა პირის ნამუშევრის წარმოჩენა როგორც საკუთარი;
- ე) შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე სხვისი ნაშრომის ან გამონათქვამის ციტირება;
- ვ) საკუთარი ან სხვისი მონაცემების გაყალბება;
- ზ) საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების, კონფერენციის თუ სამეცნიერო სტატიების უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნიშნულთან შეუსაბამობა.

მუხლი 3. პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების პროცედურები და მექანიზმები

1. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის მიზნით, უნივერსიტეტი ახორციელებს შემდეგ პროცედურებს:

- ა) აკადემიური წერის კულტურის დანერგვა;
- ბ) თანამშრომელთა, პროფესორ/მასწავლებელთა და სტუდენტთა ინფორმირება პლაგიატთან დაკავშირებით (იხ. დანართი #1);
- გ) პლაგიატთან ბრძოლის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, დროებითი ჯგუფის შექმნა;
- დ) სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით პლაგიატის აღმოჩენა და შესაბამისი რეაგირება წინამდებარე წესის შესაბამისად;
- ე) საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას ხელმძღვანელის, რეცენზენტის, სამეცნიერო და სტუდენტური კონფერენციების ორგანიზატორების, სამეცნიერო ცენტრების ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირება პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების თაობაზე;
- ვ) Turnitin (ტურნიტინი) - პლაგიატის აღმოჩენის ელექტრონული ინსტრუმენტის გამოყენება;



ზ) სასწავლო კურსების სილაბუსების მეშვეობით სტუდენტების ინფორმირება პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმების და პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმების შესახებ.

2. პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმები:

2.1 პლაგიატის აღმოჩენა ელექტრონულ ინსტრუმენტის - Turnitin (ტურნიტინი) -ის მეშვეობით:

ა) პლაგიატის აღმოჩენის ელექტრონული ინსტრუმენტია - Turnitin (ტურნიტინი);

ბ) შემოწმების შედეგად პროგრამა ადგენს ანგარიშს, სადაც მოცემულია შესამოწმებელი ნაშრომის სხვა მასალებთან მსგავსება;

გ) ანგარიში მოიცავს ინფორმაციას იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებთანაც შესამოწმებელი დოკუმენტი ამჟღავნებს მსგავსებას;

ე) (ამოღებულ იქნა)

2.2 სამეცნიერო ნაშრომების ორმაგი ფარული რეცენზირება, კერძოდ:

ა) ნაშრომის რეზიუმე ეგზავნება ორ რეცენზენტს;

ბ) რეცენზენტს არ აქვს ინფორმაცია ვის ნაშრომს ამოწმებს;

გ) სამეცნიერო ნაშრომის ავტორს არ აქვს ინფორმაცია, ვინ შეიძლება იყოს მისი ნაშრომის რეცენზენტი;

დ) რეცენზენტი შეიძლება იყო დარგში აღიარებული მეცნიერი;

ე) ორივე რეცენზენტიდან დადებითი ან უარყოფითი რეცენზიის მიღების შემთხვევაში, ავტორისათვის არ უნდა გახდეს ცნობილი ვინ იყო რეცენზიის ავტორი;

ვ) ორი რეცენზენტის მიერ განსხვავებული რეცენზიის შემთხვევაში საბოლოო შეფასებისთვის ნაშრომი ეგზავნება მესამე რეცენზენტს.

2.3 პლაგიატი ასევე შესაძლებელია ინდენტიფიცირდეს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირის მიერ წერითი ნაშრომის მსგავსების გზით.

(ცვლილება შეტანილია რექტორის 2019 წლის 13 მაისის ბრძანება №59);



მუხლი 4. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტებზე რეაგირების პროცედურები/მექანიზმები

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის აღმოჩენა ლექტორის, საგამოცდო პროცესზე დამკვირვებლის მიერ ითვალისწინებს აკადემიური კურსებისთვის მასალის მომზადებისა და გადაცემის პროცესში ან გამოცდის ჩაბარებისას სტუდენტის მიერ აკადემიური თაღლითობა ან პლაგიატი;
2. უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სანქციები სტუდენტის მიერ არაკეთილსინდისიერების ფაქტის დადასტურების დროს: საგამოცდო პროცესის, ქვიზების, წერიტი ნაშრომის შესრულების დროს სტუდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედება დასჯადია ევროპის უნივერსიტეტის საგამოცდო დებულებით დადგენილი ნორმების შესაბამისად;
3. სტუდენტს აქვს საშუალება საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი შემუშავების პროცესში გადამოწმოს Turnitin-ის საშუალებით და ნაშრომის საბოლოო ჩაბარებამდე შეიტანოს ცვლილებები;
4. საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფაქტების დადგენის დროს ნაშრომი ეგზავნება სტუდენტს ხელახალი გადამუშავებისთვის ნაშრომის საბოლოო ჩაბარების ვადის ამოწურვამდე;
5. დასრულებული ნაშრომი შემოწმებას გადის Turnitin - ტურნიტინი-ის ელექტრონულ პროგრამაში, რის საფუძველზეც საბოლოო დასკვნას წერილობით წარმოადგენს ნაშრომის ხელმძღვანელი. ხელმძღვანელის დადებითი შეფასების შემთხვევაში, ნაშრომის ავტორს ეძლევა ნაშრომის დაცვის საშუალება;
6. ნაშრომში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია ნაშრომის საბოლოო ჩაბარების შემდეგ;
7. საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომის დადგენილ ვადაში ჩაბარების შემდეგ, აკადემიური არაკეთილსინდისიერების ნორმების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება ნაშრომის დაცვაზე, იგი ვალდებულია აირჩიოს ახალი საკვლევი თემა;
8. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების Turnitin - ის ელექტრონულ პროგრამაში გადამოწმებას ახორციელებს საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და დასკვნას წარუდგენს საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიას. ხელმძღვანელი პასუხისმგებელია დასკვნაში მითითებული მონაცემების სისწორეზე.



8¹.სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციების, უნივერსიტეტის სამეცნიერო გამოცემებში გამოსაქვეყნებელი მასალის Turnitin - ის ელექტრონულ პროგრამაში გადამოწმებას ახორციელებს შესაბამისი აქტივობის სამეცნიერო-საორგანიზაციო კომიტეტის მიერ განსაზღვრული პირი, რომელიც პასუხისმგებელია დასკვნაში მითითებული მონაცემების სისწორეზე.

9. (ამოღებულ იქნა)

10. დასკვნაში პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, ნაშრომის ავტორი უფლებამოსილია წერილობითი განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტს აღნიშნული საკითხის განხილვის მიზნით;

11. განცხადების საფუძველზე რექტორის სამართლებრივი აქტით იქმნება დროებითი კომისია აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის საკითხის განხილვის შესახებ;

12. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ/განმცხადებელი, ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი;

13. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 3 წევრით, უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის ან/და სხვა მოწვეული პირების შემადგენლობით.

14. კომისიის მიერ ნაშრომის განხილვის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება წერილობითი დასკვნის დადასტურების შესახებ. თუ კომისიამ ნაშრომში არ დაადასტურა პლაგიატი, ნაშრომი ხელახალი განხილვის მიზნით, გადაეცემა ხელმძღვანელს ან რეცენზენტს.

15. სამეცნიერო ნაშრომის, სტატიის და საკონფერენციო ნაშრომების ფარგლებში აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დარღვევა იწვევს ნაშრომის გამოუქვეყნებლად დატოვებას.

(გვლილება შეტანილია რექტორის 2019 წლის 13 მაისის ბრძანება №59);

მუხლი 5. დისციპლინური სანქციების სახეები

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, დამრღვევი პირის მიმართ შეიძლება განისაზღვროს შემდეგი სანქციები:

ა) მიეცეს გაფრთხილება;

ბ) შენიშვნა;

გ) საყვედური;

დ) დაწესდეს სპეციალური მონიტორინგი უახლოესი 1 წლის განმავლობაში მის მიერ განხორციელებულ სამეცნიერო და სხვა საქმიანობაზე;



პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები

ე) შეუწყდეს შრომითი კონტრაქტი;

ვ) გაუქმდეს სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომი და დაევალოს ნაშრომის ავტორს საკვლევი თემის ხელახალი აღება.

2. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში პირის მიმართ დისციპლინური სანქციის სახე განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით.

(ცვლილება შეტანილია რექტორის 2019 წლის 13 მაისის ბრძანება №59);





პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები

დანართი #1 - ინფორმირება აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევაზე

მე _____ ვ/ნ _____

გავეცანი უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დარღვევის შემთხვევაში ჩემს მიმართ გამოყენებულ დისციპლინურ სანქციას. ვაცნობიერებ შედეგებს მათი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში.

აღნიშნულს ვადასტურებ ხელმოწერით.

ხელმოწერა: _____ თარიღი: _____

